დანართი 1

სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის თანამდებობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონკურსის საკონკურსო პირობები და კანდიდატურის შერჩევის წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1.1. ეს წესი ადგენს სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში-კინოცენტრი) დირექტორის თანამდებობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსის საკონკურსო პირობებს და კონკურსით დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესს.

მუხლი 2. საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2.1. კინოცენტრის დირექტორის თანამდებობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსი არის ღია და საჯარო და მასში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს).

2.2. კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

2.2.1. უმაღლესი განათლება;

2.2.2. არანაკლებ 3 წლის მმართველობითი მუშაობის გამოცდილება;

2.2.3. ორგანიზატორული უნარჩვევები და მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა;

2.2.4. გუნდური მუშაობის გამოცდილება, მართვა და კომუნიკაბელურობა;

2.2.5. ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა;

2.2.6. კინოხელოვნების სპეციფიკის მაღალ დონეზე ცოდნა;

2.2.7. საერთაშორისო კინოინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან და კინოფონდებთან მუშაობის/თანამშრომლობის გამოცდილება და მათი სისტემური ორგანიზაციის ცოდნა;

2.2.8. შემუშავებული ჰქონდეს კინოცენტრის და კინოინდუსტრიის განვითარების ხედვა და სამწლიანი გეგმა;

2.2.9. საჯარო სექტორის და კულტურის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძვლების ცოდნა.

2.3. კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს:

2.3.1 პირადი განცხადება. განცხადებაში სავალდებულოა პირადი ნომრის, ელ-ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომრის და საკონტაქტო მონაცემის (მისამართის) მითითება.

2.3.2. ავტობიოგრაფია (რეზიუმე/CV);

2.3.3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

2.3.4. კინოცენტრის და კინოინდუსტრიის განვითარების ხედვა და სამწლიანი გეგმა (არაუმეტეს 5 ფურცლისა; სლაიდების შემთხვევაში არაუმეტეს 15 სლაიდისა);

2.3.5. ორი რეკომენდაცია.

2.4. კონკურსანტის მიერ დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთ ეგზემპლიარად, როგორც მატერიალური (ნაბეჭდი) ასევე ელექტრონული ფორმით (CD დისკზე).
2.5. . კონკურსში მონაწილე კანდიდატთა განაცხადები მიიღება 2019 წლის 04 აპრილიდან.
2.6. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 15 აპრილის 17:00 საათი.
2.7. კანდიდატის განაცხადი და ყველა თანდართული მასალა მატერიალური სახით წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის N52-სა და სანაპიროს ქ. N4-ში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

მუხლი3. საკონსულტაციო საბჭოს და სამდივნოს სტრუქტურა, უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების წესი

3.1. სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის თანამდებობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსის წესით კანდიდატურის შემრჩევის მიზნით, იქმნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის(შემდგომში-მინისტრი) სათათბირო ორგანო-საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში საკონსულტაციო საბჭო).

3.2 საკონსულტაციო საბჭოსა და მისი სამდივნოს შემადგენლობას მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრის პირველი მოადგილე.

3.3. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საკონსულტაციო საბჭოს და სამდივნოს წევრებისთვის დაუშვებელია დირექტორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება.

3.4. საკონსულტაციო საბჭოს წევრი მონაწილეობს საკონსულტაციო საბჭოს სხდომებში ამ წესით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.5. საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს უძღვება საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს პირველივე სხდომაზე, საბჭოს წევრების მიერ, ხმათა უბრალო უმრავლესობით და ღია კენჭისყრით.

3.6. საკონსულტაციო საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები, თუ მას ესწრება შემადგენლობის 10 წევრი მაინც.

3.7. ცალკეული კანდიდატის მიერ არასრულყოფილად ან/და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, საკონსულტაციო საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კონკურსიდან კანდიდატის მოხსნის ან/და ხარვეზის შევსების/დაზუსტების თაობაზე. რის შესახებაც ინფორმაცია, კანდიდატებს მათ მიერვე მითითებულ ელ/ფოსტაზე ეცნობებათ. კონკურსიდან მოხსნილ კანდიდატებთან გასაუბრება/პრეზენტაცია აღარ ტარდება.

3.8. საკონსულტაციო საბჭო, სამდივნოს მიერ განსაზღვრული და საბჭოსთან შეთანხმებული განრიგის შესაბამისად, განიხილავს და ისმენს კანდიდატის განაცხადს/პრეზენტაციას.

3.9. საკონსულტაციო საბჭოს ყველა წევრი ინდივიდუალურად წერილობით გაუწევს რეკომენდაციას კინოცენტრის დირექტორის თანამდებობაზე ერთ კანდიდატს.

3.10. საკონსულტაციო საბჭო ხმათა უბრალო უმრავლესობით უფლებამოსილია კინოცენტრის დირექტორობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადოს ჩაშლილად.

3.11. საკონსულტაციო საბჭოს წევრების რეკომენდაციები, საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმთან ერთად,მინისტრის პირველი მოადგილის მიერ, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მინისტრს.

3.12. სარეკომედაციო საბჭოს ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

3.13. მინისტრი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას კომისიის მიერ რეკომენდირებული კანდიდატურებიდან ერთ-ერთის დანიშვნის ან კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების თაობაზე.

3.14. საკონსულტაციო საბჭოს ჰყავს სამდივნო, რომელიც:

3.14.1 იწვევს საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს, საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს სხდომების (მათ შორის კანდიდატებთან შეხვდრის) განრიგს თავს უყრის საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის მასალებს, აწარმოებს სხდომის ოქმებს და სხვა;

3.14.2. შემოსული განაცხადების ელექტრონულ ვერსიებს (სრულ დოკუმენტაციას) ელ-ფოსტით უგზავნის საბჭოს წევრებს განხილვისათვის; განაცხადების განხილვის და კანდიდატებთან შეხვედრის დაზუსტებული განრიგი საბჭოს წევრებს და კანდიდატებს ეცნობებათ ელ-ფოსტით ან/და ტელეფონით.